ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 175
1877

ივერია

№ 175
1903

აგვისტოს 17, კვირა 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

აგვისტოს 17, კვირა 1903 წ.

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, პირველ აგვისტოდგან „ივერია“ აღარ ეგზავნება.

პირველ აგვისტოდგან წლის დამლევამდე

გაზ. „ი ვ ე რ ი ა“

ჰღირს 5 მან. 50 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ჟირარდის მანუფაქტურების საქკ. საზ. საწყობი
სასახლისი ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა
მრავლად მიღებულია საზაფხულოე სეზონისათვის

საქალო მატერიები: ბატისტი, სატინა, მუსლინი, კრისტა, ლინი, არჟუან ტინი, მერველიე, ბრომე, ბროდე ზოლიანი, პლიუმტი, ლევანტინ-ფულიარი, ფერადი ტილო.

საკიტელო მატერიები: კოლომენკა, რაგოზა, ეშმაკის ტყავი-მოლესკინი, პარუსინა გიმნაზიელთა ბლუზებისათვის.

საფარდეზო ტილო და ტიკი ფარდებისა და მარკიზებისათვის

საბანაო ზეწრები, ხალათები და სხვა კუთვნილებანი
ნიმუშები უფასოდ ეგზავნებათ მსურველთ.

დონნერი და ლეიტცი.
(100—67)

კავკასიის ნატურალური კონიაკი
დ. ზ. სარაჯიშვილისა
ტფილისში

საწყობნი: ს.-პეტერბურგს, მოსკოვს და ვარშავას. უმთავრესი კანტორა ტფილისში, ოლგის ქუჩა, საკუთარი სახლი. (50-6-27)

გამოცდილი ქართველი მასწავლებელი ქალი, რომელმაც კარგად იცის რუსულ-ფრანგული ენა, ამზადებს ორთავე სქესის ბავშვებს ყველა სასწავლებლისათვის, ორ კლასამდე, ხელ მისაწვდომ ფასად. იყვანს აგრეთვე შესანახდაც.

ადრესი: რეუტოვის ქუჩა, სახლი არღუთინსკისა № 6 იკითხეთ ეზოში მასწავლებელი ქალი. (10 6—1)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ
14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2,

დანიელ დეფოს

რობინზონ კრუზე

მეორე გამოცემა მრავალის სურათით.
162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების დაბარება შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

ახალშენიშვილი
ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან.

თანხმად 1895 წელს 25-ს მაისს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო რჩევის დადგენილებისა შესახებ იმისა, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელთ დაუბრუნდეს ის ფული, რომელიც მათ ბანკის დასაარსებლად შეუტანიათ, და აგრეთვე 1900 წლის 8 მაისს ფინანსთა მინისტრის კიერ დამტკიცებულ წესების მე-7ე მუხლის ძალით,—ტფილისის გუბერნიის ვთაა-დაზნაურთა წინამძღოლი ამით აცხადებს, რომ ვისაც აქვს თავადის იოსებ ზაქარიას ძის ანდრონიკაშვილის მიერ გადაცემული კვიტანცია შესაბამის წარწერით ოთხას ოთხმოც და უთის მანათისა (485 მან.), ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად შეტანილისა, ვალდებულია, ეს კვიტანცია წარმოუდგინოს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ექვსის თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვის დღიდგან; წინააღმდეგს შემთხვევაში იგი სამუდამოდ დაჰკარგავს ფულის მიღების უფლებას ამ კვიტანციით და გადასაცემ წარწერით და ეს ფული ზემოდ დასახელებულ თავად ანდრონიკაშვილის საკუთრებად ჩაეთვლება.

კერძო სამკურნალო
ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჯიჯინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 11—1 ს.

ბრ. ვ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო
სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირ დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ ქალისა და საზებიო ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

გ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардiана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

ტ ფ ი ლ ი ს ი

გუშინ-წინ, 15 აგვისტოს, ტფილისის სიონის ყოვლად წმიდის მიძინების ტაძარში მწირველი იყო ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი დიმიტრი. წირვის შემდეგ სამღვდელოებამ ჯვარ-სახარებით და გალობით ტაძარს გარს შემოუარა. წინა საღამოსაც მწუხრი პურის კურთხევითა და ცისკარი ზეთის ცხებით ეპისკოპოზმა შეასრულა. ამ ორ დღეს სიონის ტაძარში მრავალი მლოცველი დაიარებოდა.

იმავე დღეს და გუშინ მრავალი მლოცველი მიდი-მოდიოდა ქალაქიდან მარტყოფს, წმ. ანტონის მონასტერში.

მის უმაღლესობას, პრინც ა. პ. ოლდენბურგსკის 25 აგვისტოს მოელიან გაგრაში, სადაც მთელს ზამთარს დარჩება და გაგრის სანატორიის განკარგებას ხელს შეუწყობს.

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებული სოჭაში აპირებს წასვლას იმ დროსთვის, როდესაც იქ მინისტრი ჩამოვა.

ტფილისის საბოტანიკო ბაღის გამგეობამ ამ ბაღის გვერდით მიწა შეიძინა გაბაშვილებისაგან. გუშინ, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულმა და მოხელეებმა ეს მიწა მიიღეს გამყიდველისაგან და ჩააბარეს საბოტანიკო ბაღის გამგეობას.

სახელმწიფო თეატრის დირექციას შეუკვეთნია პატარა მოდელი თეატრისა, რომელიც გამოსაჩენ ადგილას იქნება დადგმული და განათებული, რომ იმის საშუალებით თეატრში მიმსვლელმა ადვილად იპოვოს თვისი ადგილი. ამისთანა მოდელი საარტისტო საზოგადოებასაც აქვს და კასის გვერდით არის შუშაბანდში. ვინც კი ბილეთის ასაღებად მისულა, ყველა შენიშნავდა.

დღეს, 17 აგვისტოს, საღამოს 8 საათზედ. სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, პროფესორი გრენი წაიკითხავს უკანასკნელ ლექციას გიპნოტიზმისა და სპირიტიზმის შესახებ, ამ პროგრამით: ისტორიული განხილვა გიპნოტიზმისა და პსიხო-ფიზიკის განვითარებისა; თეორია ცხოველთა მაგნეტიზმისა; მესმერი და ბრედი; თ-დი დოლგორუკი; თეორია შარკოსი; თეორია ლუისისა, რობისა და ოხოროვიჩისა; თეორია გარტმანისა. ვარჯიშობა კრუკსისა, ცოლნერისა და რომისა—მედიუმიზმი და თეორია ალან კარდეკ-სა.

ტფილისის საბოტანიკო ბაღის დირექტორი ბ-ნი როლოვი საზღვარ-გარედ იყო, სამსახურის საქმეთა გამო, და 20 აგვისტოს დაბრუნდება ტფილისს.

აკადემიკოსის თ-დ ი. რ. თარხნიშვილის წიგნი „საშინაო ექიმობა“ სომხურს ენაზედ გადუთარგმნიათ და დაუბეჭდიათ კიდეც.

გუბერნიის ექიმი ბ-ნი ქიქოძე ახალციხეს იყო, სადაც ახლად ა. პუშკინის სახელზედ დაარსებულ საქალაქო საავადმყოფოს გახსნას დაესწრო.

ბეითალი შიო დედაბრიშვილი გუშინწინ მანგლისს წავიდა, სადაც პირუტყვს რაღაც სენი გასჩენია.

ბბ-ნთ ყორღანოვისა და ალიხანოვის მიერ ავჭალის ქუჩაზედ გაყვანილი რკინის გზის ლიანდაგი მოწყობილობით მალე ქალაქის ხელში უნდა გადვიდეს, რადგან ხელშეკრულობის ვადა გადის, ე. ი. ქალაქმა უნდა გამოისყიდოს. მომავალ სეკდემბერში ხმოსანთა კომისია შეამოწმებს ამ გზას, ანუსხავს კუთვნილებას და დააფასებს.

ტფილისის პოლიცმეისტრის თანაშემწედ, თავ. სიდომონ-ერისთავის ნაცვლად, რომელიც მომრიგებელ შუამავლად გადაიყვანეს, როგორც ამბობენ, დაინიშნა ტფილისის პოლიციის მე-4 ნაწილის ბოქაული დუშინსკი.

ტფილისის თავად-აზნაურობამ 500 მანეთი შესწირა იმ ძეგლის სასარგებლოდ, რომელსაც ყირიმის ომის სახსოვრად სიმფეროპოლში სდგამენ.

პოლიციის მე-2 ნაწილში ჩხუბი მოუვიდათ რაჭის მაზრის მცხოვრებთ ძმებს სოლომონ და სეფე თამარიძეებს. ჩხუბის დროს სოლომონმა თავისი ძმა სეფე მძიმედ დასჭრა. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში წაიყვანეს.

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საბჭოს გადაწყვეტილების თანახმათ, მდივანმა ბ-ნ ე. ო. იოსელიანმა მისწერა საზოგადობის ხაზინადარს, შეიტანოს ხაზინაში ის 700 მან., რომელიც ერგება პოლიციის მოხელეებს კავკასიის გამოფენის დროს სამსახურისათვის.

21 აგვისტოსთვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვ. პეტრე მალატხიასა და სხვ., რომელთაც ქალის მოტაცება ჰბრალდებათ.

შეცდომის გასწორება

«ივერიის“ 174 №-ში 2 გვ. 2 სვ. ნეკროლოგში შეცდომით დაბეჭდილია. „წიგნების გამომცემელთა სამეურნეო საზოგადოებას‘‘, უნდა იყოს: წიგნების გამომცემელ ამხანაგობათა და ადგილობრივ სამეურნეო საზოგადოებათ.

ჩემი მოგზაურობა სვანეთში და სვანური სახალხო სიმღერები.

დიდი ხანია, მქონდა სურვილი გამეცნო და შემეკრიბა სვანური სახალხო სიმღერები. მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ვერ ვახერხებდი სისრულეში მომეყვანა ეს ჩემი აზრი. უკანასკნელად წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მონდობილობით გავლილ მკათათვეში შემისრულდა ჩემი წადილი და გავემგზავრე სვანეთს ამ აზრით პროფესორ ალ. ხახანაშვილთან ერთად, რომ გრაფოფონის შემწეობით ჩამეწერა სვანური სახალხო სიმღერები.

ჩემის აზრით, ჩემს მოგზაურობამდე სვანეთში მეგონა შევხვდებოდი იქ უცნობს ჩემთვის არა ქართულ კილოებს. მე სრულებით წარმოდგენა არა მქონდა, თუ სად, და რა ხალხთან უნდა დამეჭირა საქმე. ან რა ენაზედ უნდა მელაპარაკნა მე იმათან, რადგანაც დარწმუნებული ვიყავ, რომ სვანური ენის მეტს იქ ვერას გავიგებდი. მაგრამ უნდა აღვნიშნო სიამოვნებით შემდეგი: როგორც ქვემოთ, ისეც ზემო სვანეთში მომეტებული ნაწილი მცხოვრებლებისა ლაპარაკობენ მშვენიერს ქართულს, თუმცა-კი ცოტა იმერულ ი კილოთი. რაც შეეხება სიმღერებს, რომ გავცილდით სოფ. ცაგერს, (ლეჩხუმის მაზრა, საიდგანაც იწყობა სვანეთი) გავიარეთ ოცდაათიოდე ვერსი და ჩავედით ჩოლურის საზოგადოებაში სოფ. ლეუშიერში, იქ პირველად გავიგონე და ჩავწერე სვანური სიმღერა. უნდა აღვნიშნო, რომ თუ ეს სიმღერა არ ყოფილიყო სვანურს ენაზედ, სრულიად ვერ გავარჩევდი რაჭულ კილოსთან, და მართლაც მეგონა, რომ ეს პირველი ჩემი შრომა იყო რაჭული კილო, და არა სვანური. მაგრამ როცა გავიგე იქვე სხვა სიმღერებიც და შემდეგშიაც ჩავედით სოფ. ლაშხეთში და იქაც ჩავწერე რამოდენიმე, მაშინ-კი დავრწმუნდი, რომ ესენი იყო სვანური, მე მაინც იმედს არ ვკარგავდი, რომ თუ გადავიდოდით ლატბარის მთას და ჩავიდოდით თავისუფალ სვანეთში, იქ მაინც შევხვდებოდი სხვა კილოს, ე. ი., ჩემის აზრით, ვითომ და ნამდვილს სვანურს, რადგანაც დაბლა სვანეთი (სადადიანო). როგორც დაახლოებული რაჭასთან, შესაძლებელი იყო უკანასკნელს გავლენა ჰქონოდა პირველზედ კილოში, მაგრამ იქაც ისევ ის კილო ვიპოვე, რაც ქვემო სვანეთში. ამათ გარდა ჩემდა გასაოცებლად გავიგონე თავისუფალ სვანეთში რამოდენიმე ქართლ-კახური კილო.

ლატბარის მთიდან გადაუხვიეთ მარჯვნივ და ჩავედით სოფ. უშკულში. ამ დროს შემოგვესმა მშვენიერი მწყობრი სიმღერა

სამ ხმაზედ: გავიხედეთ მარჯვნივ და დავინახეთ მთიდგან ჩამომავალი 10—15-ოდე წლის ქალების გუნდი, აი სწორეთ მათგან მოისმოდა ეს სიმღერა. რომ არ მენახა ჩემის თვალით, მე სრულებით არ დავიჯერებდი, რომ ზემოხსენებულს სიმღერას მღეროდნენ ქალები, და არა კაცები. მინდა ავღნიშნო, რომ ის სიმღერა იყო გაწყობილი სამ კაცის ხმებისათვის, ე. ი., I და II მოძახილის და ბანისთვის, რომელსაც მწყობრათ ასრულებდნენ ეს ქალები. მართლაც და განცვიფრებაში მომიყვანა იმ შემთხვევამ, რომ მთელ ჩემს მოგზაურობაში სრულებით არ შემხვედრია ქალებში წმინდა ხმა (სოპრანო), თუმცა სვანეთში მომეტებული ნაწილი მომღერლებისა არიან ქალები. იმათში ბევრი ვნახე ღრმა დაბალ ხმიანი (კონტრ-ალტო), რომელიც ძრიელ ჩამოჰგავს კაცების ხმას (ტენორს). ეს შემთხვევა აიხსნება იმით, რომ სვანეთში კაცი და ქალი მუდამ მღერიან ერთად ხოროთი და, რადგანაც კაცის ხმა საზოგადოთ დაბალია ქალისაზედ ერთი „ოკტავით“, ამიტომ ქალებს თავიანთი ხმა შეუწყვიათ მათი ხმის „დიაპაზონისათვის“, რის გამო ღრმად შემუშავებიათ ხმა. ეს გარემოება ძალიან სასიამოვნოა, რადგანაც საზოგადოდ ქალების ხმებში ,,კონტრ-ალტო‘‘ ისევე იშვიათი და დასაფასებელი არის, როგორც კაცების ხმებში ,,ტენორი‘‘. გრაფოფონში ჩაწერილი მარტო ქალების ნამღერი რომ გაიგონოთ, არას გზით არ დაიჯერებთ, რომ მღერიან ქალები და არა კაცები.

აი აქ მინდა მკითხველებს გავაცნო თუ ზოგიერთი სვანური სიმღერა კილოთი რამოდენათ ჰგავს ქართ კახურს. ავიღოთ მაგალითად ,,ყანსავ-ყიფიანე‘‘. ეს სიმღერა როგორც ყველა ქართული საზოგადოდ არის შეწყობილი სამ ხმათ. წარმოიდგინეთ, რომ ჰარმონიაც-კი ამ სიმღერისა მოგაგონებთ კახურ ,,ოქროს ღიღლას‘‘, თუმცა სიმღერისათვის შესაწავლათ პირველი უფრო ადვილია, რადგანაც აქ ვერ შეხვდებით იმ სიძნელეს ,,ინტერვალებში‘‘ რაიცა არ აკლია ქართლ-კახურს, და ჭარბათ-კი აქვსთ გურულ-იმერულს სიმღერებს. კიდევ მაგალითი: ,,დიდება თარიგძელ‘‘. (დიდება მთავარ-ანგელოზებს). ეს სიმღერა სვანებში მიღებულია, როგორც პირველი დასაწყისი ნადიმისა. თუმცა შინაარსი ამ სიმღერისა სასულიეროა, მაგრამ კილოთი კი ძლიერ ჩამოჰგავს ქართლის სიმღერას ,,მკის დროს‘‘. ამათ გარდა სვანებს ბევრი სიმღერა აქვსთ საცეკვარი, რომელიც უფრო ჩამოჰგავს რაჭულს კილოს, და ერთი იმათგანი-კი კახურს ,,ცანგალას‘‘. გურულ-იმერული სიმღერების ,,კრიმანჭულს‘‘ სვანურ სიმღერებში ვერ შეხვდებით სრულებით. მეორე მოძახილს-კი აქვს ის განსაკუთრებითი თვისება, და ემორჩილება იმ კანონებს სამუსიკო თეორიისას, (**Не приготовленный, свободно употребляемый диссонансъ**) რომელსაც შეხვდებით ყველა ქართულ სიმღერებში.

თუმცა მაგალითი კიდევ ბევრი შეიძლება მოვიყვანო, მაგრამ სჯობს, როცა კრებულათ გამოვცემ ყველა ჩემ შეკრებულს სიმღერებს, მაშინ ვსთხოვ ყოველთ მცოდნე ქართული მუსიკისას ამ საგანზედ იქონიონ თავიანთი მსჯელობა, რადგანაც ეს არის საკუთარი ჩემი შეხედულობა სვანურს სიმღერებზე.

რაც შეეხება სვანურ ინსტრუმენტებს, იმათ აქვსთ ორ ნაირი: პირველს ეძახიან „ჭუნირს“ (ჭიანური) აქვს სამი სიმი, უკვრენ პატარა ქამანჩით და ჩამოჰგავს ფანდურას. მეორეს ეძახიან „ჩანგ“ (ჩანგი) აქვს ექვსი სიმი, უკვრენ თითებით ჩამოკრულს (**pizzicato**) და ჩამოჰგავს ქნარსა (**Лира**); სიმები ორივე ინსტრუმენტებს აქვსთ ძუისა. *) ოთხიოდე სიმღერა ამ ინსტრუმენტების აკკომპანიმენტითაც ჩავწერე, რომლებსაც მღერის ერთი კაცი (**Соло**) და კილო ამ სიმღერებისა საშინლათ ვამზგავსე რაჭულ მესტვირეს და ერთი ამ სიმღერათაგანი „ვოსარერა“-კი ნამდვილათ მოგაგონებსთ ქართულ თქმულებას (**былина**).

ამ სიმღერების გარდა ჩავწერე კიდევ ს. იფარში, (მაღლა სვანეთი) და სოფ. ეწერში (სადადეშქელიანო), რამოდენიმე ხმა, (სულ 28) და იქაც იგივე კილოები შემხვდა, როგორც ზემოთ მოყვანილი მქონდა.

სვანური და რაჭული სიმღერების ქართლ-კახურობა, ჩემის აზრით, იმისი მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ძველათ ყველგან ქართულის თემის სამუსიკო ერთობა უნდა ყოფილიყოს, ხოლო შემდეგ, სხვა-და-სხვა გარემოების გავლენით, ზოგან ეს ერთობა დარჩენილიყოს უცვლელად, როგორც სვანეთში და რაჭაში, ზოგან-კი ცოტათ შეცვლილიყოს, როგორც გურია-იმერეთში.

ვალათა ვრაცხ გულითადი მადლობა განვუცხადო სვანეთის ბლაღოჩინებს: მღ. ბესარიონ შიოს ძეს ნიჟარაძეს, მღ. ივანე გიორგის ძეს მარგიანს, თავ. თათარხან დადეშქელიანს, იფარის საზოგადოების მასწავლებელს ბ-ნ ხუციშვილს და სხვათ, რომელთაც დიდი შემწეობა აღმომიჩინეს ამ სიმღერების გადაღებაში. მასთანვე მადლობას ვუძღვნი მართველობას წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისას, რომელმაც ნივთიერი დახმარება აღმომიჩინა სვანური მელოდიების შეკრების საქმეში.

ზაქარია ფალიაშვილი

---

*) თითო ცალი ამ ინსტრუმენტებისა ინახება მოსკოვის საიმპერატორო კონსერვატორიის საინსტრუმენტო განყოფილებაში, რომლებიც 1885 წ. სვანეთში მოგზაურობის დროს ჩაუტანია ზემოხსენებული კონსერვატორიის პროფესორს ბ. ტანეევს. ამათი მოხმართვა აქამდის არ იყო საზოგადოდ ცნობილი, თუმცა როგორც მე, ისეც ბ. არაყიშვილმა მოსკოვში ბევრი ვეცადეთ, რომ შეგვეტყო, მაგრამ ყოველმა ცდამ ამაოდ ჩაიარა; სამწუხაროდ აღარც ტანეევს ახსოვდა იმათი არასფერი, თუმცა კი თვითონაც დაინტერესებული იყო. ეს ინსტრუმენტები თითო ცალი შევიძინე და შევწირე წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მუზეუმს და თანაც შევისწავლე მათი მოხმართვა.

პასუხი ბ-ნ სილოვან ხუნდაძეს

„(იხ. ივერია“ № 174)

დიდად მიამა, რომ თქვენ გამოეცით პასუხი ჩემ წერილსა, სადაც ვამბობდი, იმერეთის ნასწავლი შვილები სამწერლო საქმეში განცალკევებას ემსახურებიან, როცა სწერენ წევან და სხ. მეთქი. მაგრამ ბაასი ჩვენ შორის ყოვლად შეუძლებელია, ვიდრე არ შეიწყნარებთ იმას, რომ ყოფა, ყოლა, წოლა სახელზმნების ძირებია ყვა და წვა.

გმართებდათ, ანგარიში გაგეწიათ ჩემი წერილის სწორედ ამ მუხლისთვის, რომლის განსამარტებლადაც ხმათა ცვლის ფორმულაც კი მქონდა მოყვანილი და არ გაგერთეთ, სიტყვის თითქოს ბანზედ ასაგდებად, „ქვაზი ლინგვისტ პედაგოგისა და სოლომონ მეჯღანუაშვილის“ ექიათებით.

კლდია.

ჩვენებური ამბები

დ. ძველი სენაკი. (სამეგრელო). 14 აგვისტოს დაიწყო ძველ სენაკში ბაზრობა (იარმუკობა) პირველ აგვისტოდან. ჩვეულებრივად უწინდელთვის ეს ბაზრობა იწყებოდა პირველიდგან და თავდებოდა პირველს სექტემბერს, მაგრამ ამ ხუთი-ექვსი წლის წინად, ვიღაც მოკეთეს სახივარით, მხოლოდ ოცდაერთს ამ თვემდის დაუდეს ვადა. ამას გარდა გაუჩნდა სხვა მოქიშპე დაბებიც, რომელთაც გამოითხოვეს ნება და თვითონაც გამართეს ბაზრობა, როგორც მაგალითად: სუჯუნამ, აბაშამ, ხობმა და ეხლახან ახალსენაკმაც, მაგრამ ამ უკანასკნელ დაბაში გამართული ბაზრობა, ივნისის უკანასკნელ რიცხვებში, უფრო ძველებურს დღეობასა ჰგავდა გინდ ბაზრობას, რადგან სმა-შექცევა და ჩხუბის გარდა სხვა არა იყო-რა. აი ამ გარემოებამ დასცა ძალიან ძველი-სენაკის ბაზრობა, რომელიც ამ ათის წლის წინად განთქმული იყო მთელს იმერეთში.

წრეულს ბაზრობას არ დაუდგა კარგი დარი, რადგან სწორედ იმ დროს, როდესაც კარავები დასდგეს და საქონელი დაალაგეს, ექვს აგვისტოს ფერისცვალების დღეს, მოვიდა ისეთი ძლიერი წვიმა, რომ არათუ ვაჭრობა, თავი ძლივს იხსნა ხალხმა. სამაგიეროდ კარგი იყო ვაჭრობა შინაურის პირუტყვებითა. ყველაზედ მეტი გასავალი ხარებსა ჰქონდა და მართლაც შესანიშნავი ხარები ჩამოეყვანათ. მყიდველები უმეტესად გურულები და იმერლები იყვნენ.

—

სამეგრელო. აქეთ ამ ზაფხულს ავი ტაროსია. გამუდმებულ წვიმებს წყალ-დიდობა მოჰყვა და ბევრიც იმსხვერპლა: სამი მდინარე ტეხურში დაირჩო, ორი მდინარე აბაშაში, ოთხი ხობის წყალში, ერთი ფოთში, სადაც რიონი ზღვას ერთვის და ერთი მდინარეც მათაუგაში (ისიც ზღვას ერთვის). ამ ბოლოს დროს მაინც, ამ თვეს რომ წვიმა იყო, კოკის-პირული: ასეთი წვიმა არავის ახსოვს ამ ოცს წელიწადში, მდინარე ტეხური მთლად გადაგვერია და წალეკა მახლობელი სოფლები, გზები და რკინის გზაც დააზიანა.

რაჟდენ გამსახურდია

—

ს. ბორბალო (ტფილისის მაზრა). 14 აგვისტოს აქაურმა მცხოვრებმა შაქარა გამრეკელმა თოფით მოჰკლა თვისი მეზობელი დავით ძულიაშვილი.

—

დ. ბორჯომში ამ რამდენისამე დღის წინად ერთს ქალთან, რომელიც განცალკევებით დასეირნობდა, ვიღაც ბიჭი მისულა გიმნაზიელის ფორმით და დახმარება უთხოვნია, გაჭირებული ვარო. ვიდრე ქალი ფულის ქისას ამოიღებდა ჯიბიდგან, მისცვივიან სხვა ბიჭები და გაუძარცვავთ.

—

სად. სუმბათაურში გუშინწინ სახალხო მატარებელი კარგა ხანს ყოფილა გაჩერებული, რადგან ამ დროს „უაღრეს საჭიროებათა“ მატარებელი მიდიოდა ბორჯომისაკენ. ამ მატარებელზედ არავინ არა ყოფილა ერთისა თუ ორის რკინის გზის მოხელეს გარდა, რომლებსაც მატარებელი სავარჯიშოდ დაჰყავდათ. მგზავრები სჩიოდნენ, ტყუილად გაგვაჩერეს, ვარჯიშობა განა სხვა დროს არ შეიძლებოდაო; თუ არა და ხაშურამდე მაინც მიგვიყვანდნენ, სადაც საუზმეს მაინც ვიშოვიდითო.

—

ს. ივანდიდი დ. ხონიდგან სძევს სამი ვერსის მანძილზე სამხრეთისკენ. მდინარე ცხენის-წყლიდგან გადმოყვანილია რუ, რომლითაც ათი წელია, აქაური მცხოვრებლები რწყავენ სახნავ მიწებს, ასე რომ ზაფხულობით გვალვა აქაურ მხვნელ-მთესველს ვერას დააკლებს. ამას გარდა ზამთრობით წყალს ნამქერი მოაქვს, და მიწას ანოყიერებს. ამის გამო სამიოთხის ქცევის მოსავალი მთელს ოჯახსა ჰყოფნის. აქაური მცხოვრებლები ძალიან შრომის მოყვარულნი არიან. აზნაურებიც შრომას მიეჩვივნენ. იმათში დღეს ბევრი სწავლული და განათლებული კაცია, ხოლო დანარჩენები შინ მუშაობენ და ყოველი მათგანი წელიწადში სულ უკანასკნელი ას ფუთ სიმინდს მაინც გაჰყიდის თავის ნალვაწს.

კოლა ივანდიდელი

დაბა ხონი.

(რუსულის ენის სახელმძღვანელოს შესახებ).

ყველას ეხსომება, რა დიდი აურ-ზაური ასტეხა შარშან, როდესაც საგუბერნიო კომიტეტების სხდომებზედ, სხვათა შორის ჩვენს სკოლებში სწავლების საქმეს შეეხნენ. ყველამ და ყველგან უარჰყო მუნჯურ მეთოდით სწავლება, დაჰგმეს, ქარცეცხლში გაატარეს ამ მეტოდის თანახმად დევიცკის მიერ შედგენილი სახელ-მძღვანელო. სანამ ეს ამბავი მოხდებოდა, მთავრობისაგან უკვე ნაბრძანები იყო ქუთაისის დირექციაში, ყველას ეს სახელ-მძღვანელო ეხმარა და მაღაზიის პატრონებმაც, რასაკვირველია, საჭიროდ დაიხვეს მისი გამოწერა.

მაგრამ, რადგანაც თვით წიგნის ავტორს ბ-ს დევიცკის წინადადება ჰქონდა მიცემული, თავისი წიგნი გადაეთვალიერებია ხელ-ახლად და შესწორებია, ამისთვის ამ წიგნების გამოცემა დაუგვიანდა. ამასობაში საგუბერნიო კომიტეტების სხდომებმა მოუსწრო და ღირსეული მსჯავრიც დასდო დევიცკის სახელ-მძღვანელოს. ეს კი საკმარისი იყო, შეეშინებია ის წიგნის მაღაზიის პატრონები, რომელთაც ავტორისთვის წიგნები შეეკვეთათ, მაგრამ ჯერ კიდევ არ მიეღოთ და იძულებულნი შეიქმნენ დევიცკისთვის უარი შეეთვალათ წიგნების გამოგზავნაზედ. ის სახელ-მძღვანელოები, რომლებიც

ფელეტონი

შურდული

(საკვირაო გაზეთი)

XVIII

ბ-ნი ალ. ექ. ნებ—ძე გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთა უდროოდ კარდაცვალებას მის მიერ ფრინველთა მომშენებელ ამხანაგობის

„კოლხიდისა“

და სთხოვს დაესწრონ დაკრძალვას ვერაზე, ბაისოლოლოვის ჰამულში 32 აგვისტოს, დილის 11 საათზე.

გულითად ჭირისუფალთ ს. ზ. მგ—ლსა და ალ. პ. არდ—ნს ქელეხი ექნებათ გამართული ჩახოხბილითა და ტაბაკა ვარიებით. (1—6.—1)

ტფილისი, 17 აგვისტო.

შემოდგომა გვიახლოვდება. სიცხე-პაპანებისაგან მოდუნებული საზოგადო ცხოვრების ჩარხი მალე იწყებს ციბრუტივით ტრიალს: გახშირდება კრება-ყრილობანი, სჯა-ბაასი, ბჭობა-კამათი, ნაირ-ნაირი წარმოდგენები, ერთის სიტყვით ბრუნდი და მართალი ამოქმედდება. რასაკვირველია, ჩვენი, მეგაზეთეების ღონემაც მაშინ დადგება: მოდექი და სწერე; მე გეტყვით, მასალა არ იქნება თუ?! ოღონდ-კი მარჯვენა არ დაგეღალოს, აწრიპინე და აწრიპინე კალამი, ისროლე და ისროლე სიტყვა. მხოლოდ ერთი რამ მადარდებს: ჟინიანი რედაქტორი მყავს,—არ იქნება, კვირაში ერთ საფელეტონო ადგილის მეტს ვერ დაგითმობ „ივერიაშიო“. ფასიც შევაძლიე, მაგრამ არა გამივიდა-რა. მეტად ხელმოჭერილი კაცია,—შვილოსა, თუ ფასი გემეტება, ჩვენს თავად-აზნაურობას მიჰმართე: ერთს ხელისდადება ალაგს-კი არა, ათას დესეტინობით ლარის ფასად დაგითმობენ, მეტად გულკეთილი ხალხია მამულ-დედულის გაყიდვაშიო,—ამიგდო ბანზე სიტყვა.

მეტი ჯანი არაა, როგორმე უნდა მოვითავსდეთ იმ არე-მარეზე, რომელსაც „შურდული“ ეწოდება, მხოლოდ, ნოეს კიდობანისა არ იყოს, ყოველსავე ვერ დავტევთ შიგ, ბევრი რამ დაგვრჩება გარედ, თუ ისეთი აზარ-მაზარი კორესპონდენციები ჰგზავნეს ზოგიერთებმა, როგორსაც ეხლა ჰგზავნიან. ერთმა მაგ., იმოდენა წერილი გამოგზავნა, რომ სამი შურდული მარტო იმას არ ეყოფა. აბა, როგორ დავბეჭდოთ! ბევრი შევკრიჭე, ბევრიც გადავხაზე, მაგრამ მაინც არ დაეტია. ალბად, ბევრი გვემდურება, რომ მათი წერილები არ ისტამბება; მაგრამ მიზეზი მხოლოდ მათი სიდიდეა. საშურდულე წერილი 15—20 სტრიქონს არ უნდა აღემატებოდეს, ზოგნი-კი 400—500 სტრიქონსა ჰგზავნიან ერთ წერილად. მოიღეთ, ძვირფასნო თანამშრომელნო, მოწყალება და, უკვდავ შოთას თქმისა არ იყოს, გრძელი სიტყვა მოკლედა სთქვით. უნდა გახსოვდეთ, თუ შურდულში, პატარა კენჭი არ ჩასდეთ, შორს ვერ გასტყორცნით.

ვიმედოვნებთ, რომ თანამშრომელნი ყურად იღებენ ჩვენს უმდაბლესს რჩევასა და პატარ-პატარა სხარტულას მოგვაწვდიან ხოლმე, რომ ფილოქსერასავით მომრავლებულ გაიძვერა-ფლიდ-ჯამბაზებს სულ კუდით ქვა ვასროლინოთ.

—

თუ კი გინდა, რომ შენზედ ამბობდნენ:
„რა წესიერად უჭირავს თავი“,
ამის უებარს წამალს გასწავლი:
ყველგან და მუდამ ჩუმად იყავი;

—

და თუ გინდა, რომ გიჟი გიწოდონ,—
სიმართლის გზა-კვალს არ ჩამოშორდე;
ვერვინ გამოსცნობს იმ საიდუმლოს
თუ გინდა ცრემლით იღვენთებოდე.

—

ღვთის მოყვარება, შიში და კრძალვა
რომ კიდით-კიდეს შენი გაისმას,—
მტერი რომ გცემდეს... შენც ალთქმისამებრ,
ვითა ზვარაკი, მიუშვერდე თავს.

—

და თუ გინდა, რომ აუტანელი
იყო ქვეყნისთვის, ვით ავი სნება,
არვის დაინებდე, რომ არ შეჰლახონ
შენი კაცური პატიოსნება.

—

ამა ჩვენს დროში ასრე სცხოვრობენ,
სულელ-ბრძენები ესენი გვყვანან,
და თუ სხვა გვარიც გამოერია
ღმერთმა ინებოს... დღეს კი არ სჩანან.

სოსო.

ფელეტონი

ვინაიდან „დრონი მეფობენ“ და „ცხოვრება ბრძოლაა“, ამისათვის ისევ ისა სჯობია ვეძიოთ ჩვენი „მიკუნჭული ბედნიერება“, თორემ დაუძლურება იქამდე მიგვიყვანს, რომ იქნება ველარას დროს მოვიშოროთ მისი „ბრჭყალები“. დეე, ყველამ დაინახოს, რამდენი გვყავს ანგელოზის სახის „მუზმუზელა“, და იმისათვის, რომ ფრთები შევაკვეცოთ მის ნავარდს, შემოვკრიბოთ ჩვენი „და-ძმა“ და, რაც შეიძლება მალე გავსწმინდოთ ამგვარ ხალხისაგან ჩვენი „მამულ დედული“.. მართალია, საზოგადო სენი ყველას არ ულადრავს გულს, და უმრავლესობა „მშვენიერ ელენეს მაძიებელია“, მაგრამ ადვილია მათი მორჯულება, რადგანაც დედის მუცლიდან „უპატიოსნონი არ იბადებიან“...

აქამდე ხანს თუმცა იმისთანებისგან ველოდით, ვისაც „ფულსა და ხარისხს“ დავუნახავდით, მაგრამ განვლილმა დრომ ნათლად დაგვანახა, რომ ყველა ეს ,,გაცრუებული იმედები‘‘-ღა იყო.

ყველაზედ ვერ ვიტყვით ამას, მშობელს ვერ ვაზღვევინებთ ,,შვილის ცოდოსათვის‘‘, „პატიოსნება“ ისე არ მოკვდება, რომ „მგოსანი“ სასიმღერო საგანს ველარ ჰპოვებდის. დღევანდელი მამაკაცი რომ უძლური და „ქალაჩუნაა“, იქნება დედაკაცის ბრალიც იყოს, მაგრამ არც ისე ძნელია ,,ჭირვეულ ცოლის მორჯულება‘‘.

ეკალი

—

ეხლანდელი ქართველები.

(მიბაძვა)

ბევრჯელა თქმულა სიმართლით სიფუქსავატე მესხისა;
დოყლაპიობა, ლაჩრობა, ქართლელთა არ ეძრახვისა;
ფლიდნი არიან იმერნი, არა გამტანნი მოძმისა;
სმა-ჭამა, ხტუნვა, ტრაბახი მოგეწონების კახისა.

ედგარი.

—

ქესატობა ძნელია.

(აღა-ბაიათი)

ბაზაზები ჰგოდებენ:
ბაზაზხანა დაიქცა,
ჩვენი მუშტარ-მყიდველიც
აქეთ-იქით გაიქცა.
ქესატობა ძნელია,
სულის ამომხდელია!..
თანხიდან ჩამოვდივართ;
არც-რა დახლში შემოდის,
შეგვიმცირდა მუშტარი,
ძველის-ძველი და „მოდის“!.
ქესატობა ძნელია!..
ნაღდს, აბა, ვიღა სჩივის,
გვეკარგება ნისია;
ვექსილების „უჩოტმა“
გული შემოგვისია!..
ქესატობა ძნელია!..
ველარა ვსწევთ ქეიფსა
ძველებურად დუქანში,—
რაღაც „ბუნტობანაა“,
ისიც გვიდგა კრიჭაში..
ქესატობა ძნელია!..
ბიჭი, ნოქარ-შეგირდი,
ყველა შემოგვესია,—
რვიდან-რვამდე ვივაჭროთ, –
ეს არისო ძნელია!..
ქესატობა წესია, —
სულის ამომხდელია!..

უსუფუმუთ-ოღლი.

—

ჩვენებური ამბები.

„შურდულის“ კორესპონდენცია

გურია. ბატონო ლედახტორო, გოგია სიკინჭილაძე! აგიც, ახლა გევიგეთ, რაცხა შურდულია თუ ბზეკალ-კოდალი გამოდის და ცხელ-ცხელი ამბებიც გჭირიათ შიდ დასაბეჭდად. მაშვინათე წამუავლე ხელი დღესწორს რომ დიდი ძერეი მოვკალი იმას ფხარს, გავთალე, გამოვჭარი პერო და ქე გაახლებ ჩემი ხელის ნამოქმედარს აგერ! ოი, ბეჩა, როის იქნება, რომ ჩემი ხელის ნამოქმედარს დაბეჭდილს ვნახავ თქვენს შურდულში. ახლა არ იკითხავთ, რა ფარცაკი ამბავი მოხდა: როიცხა გეიგეს, რომ გოგიე (ბ-ნო ლედახტორო, მეც თქვენი სეხნიე ვარ, – სახელის მოზიარე) კვარაჭინაძე (ხედავ, ბ-ნო ლედახტორო, პაწაი, გვარიც ქე ჩამომიგავს თქვენსას,—სიკინჭილაძე—კვარაჭინაძე) რაცხა გაზეთის ლედახტორიაო,—თურმე იმგენს ეგონათ, მე ვიყავი შურდულის ლედახტორი,—მოვიდნენ მარა რას მოვიდნენ მოციქულები! მილოცავენ და მილოცავენ: „მადლობა წმინდა ლომის-კარელს, ჩემო გოგია, რომ გვაღირსეთ გურული გაზეთიო“!.

მოგეცათ ხთისა და იმ ლომის-კარელის წყალობა, მე ჯერე გევიჭიმე და გადევისგადმევისვი ჩემს შავს ულაშზედ ხელი, მარა, რავა გეკადრებათ, ბატონო, თქვენს სახელს მე რავა დევისაკუთრებდი! ღმერთი წინაშე და უფრო კი იმან შემაშინა,—რაცხა პლოგიატია თუ პლაღიატი! აგი რაღა ღთის წყრომაა აწი! უემურია სწორედ, უემური, თვარა რიგიანი კაცი თუ რეგვენი არაა, პლაღიატობას იზამს?!.

ჰოო, მივხთი, მივხთი,—მეგრელი იქნება, იგი ჩემის ცოდვით საფსე, თხა-პარიე მეგრელი! აპა გურული ისე რავა წახთება, შენი ჭირიმე, რომ ხევისი ნაწყ

წინა წლებში ხმარებაში იყო, მაგალითად „გრიგორიევის" და „ვოლპერის" I ნაწ. ან სრულიად არ მოიპოვებოდა მაღაზიებში, ან ძლიერ ცოტა იყო.

ბ-ნ გოგებაშვილის სახელ-მძღვანელო ხომ აკრძალულია სადირექციო სკოლებში, რაღაც მიზეზების გამო *). ასე რომ ზოგიერთი მასწავლებლები, რომლებმაც ლევიცკის სახელ-მძღვანელოს ძველი გამოცემა არ შეეძინათ და გოგებაშვილის წიგნისა შიშით ხელი ვერ შეეხოთ, დარჩნენ სრულიად უწიგნოთ, რაც ეჭვი არ არის შეუფერხებდა სწავლების საქმეს სკოლაში. დიახ, ასე იყო შარშან და მოსალოდნელია წელსაც ასევე განმეორდეს, რადგანაც ჯერ-ჯერობით მთავრობის მხრივ არავითარი განკარგულება არ მომხდარა სახელ-მძღვანელოს შესახებ, და ამისთვის არც მაღაზიების პატრონებმა, არც მასწავლებლებმა არ იციან რომელი სახელ-მძღვანელო იქნება ხმარებაში (მოდით და ამის მერმე მასწავლებლებს დიდი ნაყოფი მოთხოვეთ!!) საჭიროა ამას დროზედ მიექცეს ყურადღება, თორემ ადვილად შეიძლება წელსაც განმეორდეს შარშანდელი ისტორია, რაც არც ერთ მხრივ არ იქნება სანატრელი.

მიხა.

უცხოეთი

ოსმალეთი. ინგლისის ხმელთა-შუა ზღვაში მყოფ სამხედრო გემების ადმირალს მთავრობისაგან რაღაც დიდ-მნიშვნელოვანი განკარგულების მიღებისათანავე რამდენიმე ხომალდი სოლუნისაკენ გაუგზავნია. საფრანგეთსა და იტალიასაც გადაუწყვეტია ოსმალეთის წყლებში ორ-ორი ხომალდის გაგზავნა, რომლებიც მიტილენის მახლობლად დადგებიან. სოლუნში ევროპის კონსულებს ბჭობა ჰქონიათ, რის შემდეგაც უცნობებიათ თავ-თავიანთ მთავრობისათვის, — დიდად სასურველია, რომ სოლუნს რამდენიმე ევროპიელი ხომალდი მოვიდესო; რომელი სახელმწიფოსიც უნდა იყოს, სულ ერთია; — ევროპიელ მოსახლეობას არეულობისა მეტად ეშინიანთ და მშველელნი რომ ახლო ეგულებოდეთ, დამშვიდდებიანო. ევროპის ესკადრის სოლუნს მოსვლას ვეღარ აცდისნიან, როგორც რუსეთის ინიადას მდგომ ესკადრის საწინააღმდეგო კონტრ-დემონსტრაციას, რადგან სოლუნს ევროპიელ ხომალდების მოწვევა რუსეთის აქაურ კონსულის აზრი იყოო.

— გაზ. «ინდეპ. ბელგ.»-ე ერთ მეტად საყურადღებო ამბავს იუწყება: «ჩვენ ნამდვილის წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ დიდს სახელმწიფოებს ამ მოკლე ხანში მოლაპარაკება ჰქონიათ აღმოსავლეთის საქმეების შესახებ და ერთმანეთთან შეთანხმებით დაუდგენიათ: თუ პორტამ ვერ შესძლო ოტომანის იმპერიაში ნორმალური მდგომარეობის დაუყოვნებლივ აღდგენა და მაკედონიას აღთქმულ რეფორმათა განხორციელება, მაშინ თვით დიდი სახელმწიფოები შეუდგებიან საქმეს რუსეთი დაიჭერს დარდანელსა და ბოსფორს, ავსტრია-უნგრეთი ჩააყენებს მაკედონიასა და სალონიკის მიდამოებში თავისს ჯარებს, იტალია თვალს დაიჭერს ალბანიის სანაპიროებზედ ადრიატის ზღვის მხრიდან. ამგვარი მოქმედება დროებითი იქნება. ხონთქრის პირადი უფლებანი ხელ-შეუხებლად დარჩება. მაკედონიაში ჯარების ჩაყენებას ისეთივე ხასიათი მიეცემა, როგორიც ინგლისის მიერ ეგვიპტეში ჯარების ჩაყენებასაო".

— ტრიპოლიდან იუწყებიან, — აქ მოვიდა ოსმალეთის ხომალდი; თან მოჰყვა ხონთქრის ბრძანებისამებრ გაძევებული რიზა-ფაშა, რომელმაც თავის უხერხულის მმართველობით შესაძლოთ გაჰხადა რუსეთის კონსულის სიკვდილიო. რიზა-ფაშას თან მოჰყვა ხონთქრის ადიუტანტი, რომელსაც დავალებული აქვს მიიყვანოს იგი დანიშნულს ადგილას.

— სოლუნიდან იუწყებიან: რაცნოვის ტბის მიდამოებში ოსმალეთის ჯარსა და მეამბოხეებს ფიცხელი შეტაკება მოუხდათ. მეამბოხეთ სამი სარდალი წინამძღვრობდა. ჯუმაის მიდამოებში პოდპორუჩიკ სარევმა თავისის რაზმით, რამდენიმე სოფელი ააჯანყა. ეს რაზმი მედგრად ებრძვის ოსმალებს. მეორე რაზმი, რომელსაც აპოსტოლი წინამძღვრობს, ენინჯესა და რარდარის გარშემო სოფლების მცხოვრებთ იარაღი აღებინა ხელში.

— ბელგრადის გაზეთებში განზრახულ სახალხო მიტინგის წინა დღით შემდეგი მოწოდება იყო დაბეჭდილი: როგორც ამ ასის წლის წინად ჩვენმა პაპებმა მოჰკიდეს იარაღს ხელი სერბიის განსათავისუფლებლად, იმგვარადვე ეხლაც გამოეცხადა სტამბოლს სარწმუნოებრივი ომი ქრისტიანეთა აუტანელ მდგომარეობიდგან დასახსნელად. ჩვენი ძმები აჯანყდნენ, რომ ოსმალეთის მტარვალობას თავი დააღწიოს და ჩვენც მოვალენი ვართ მივეშველოთ. განათლებული ევროპა ვერა გრძნობს ჩვენი ძმების წყლულთა ტკივილს, ნივთიერ ინტერესებისათვის ევროპა ითმენს თავის მეზობლის მტარვალურ მმართველობას, როგორც შუა საუკუნოებში იყო. ნუ, ნუ მოველით ევროპისაგან ნურაფერს კეთილს. მიტინგზედ, რომელსაც ჩქარა გამართავს მთელი ჩვენი ინტელიგენცია, თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწენი და მთელი სავაჭრო და მომუშავე წოდება, გამოარკვევს, როგორ და რა გზით ვუშველოთ ჩვენს ტანჯულ მოძმეებსაო.

სოფიიდგან აუწყებენ გაზ. „ფრანკ. ზეიტ.-ს" — სოლუნში ევროპის კონსულებმა ბჭობაზედ გადასწყვიტეს, სთხოვონ დიდ სახელმწიფოებს, რომ გერმანიის სამხედრო ხომალდები არ გაიგზავნონ სოლუნის ნავთსაყუდელში.

ნარკვევი

უკადრაულობით სახსენებელი „ჩერ. ვესტნიკი" არ მოისვენებს, რომ ყოველ დღე წიხლი არა ჰკრას ქართველობას. მიზეზად ეხლა ის გახდომია, რომ სადღაც აბხაზეთში რუსი მღვდელი გაუმწესებიათ, რომელიც ვიღასაცმეგობრულადარ მიუღია და ვითომ შევიწროებულია მითქმა-მოთქმით ჭორებითა და ბეზღობით. ამის გამო ეს ვერაგი ვითომც და გაზეთი ყბედობს:

მკვიდრი მცხოვრებნი, აბხაზები, თამამად ითქმის, მოხარულნი არიან, რომ ახალი მწყემსი-რუსი გაუმწესეს. სასურველია, აბხაზეთის სოფლებში ამისთანა ნასწავლი მწყემსები იყოს, წირვა-კითხვის უცოდინარ ქართველების მაგიერ, რომლებიც წირვა-ლოცვას ქართულად აბხაზთათვის გაუგებარ ენაზედ ასრულებენ... სამწუხაროა, რომ თვით აბხაზები მღვდლად არ ემზადებიან და არ ეკურთხებიან. და სემინარიაში სწავლა დამთავრებულნი აბხაზნი სამოქალაქო სამსახურს უფრო ეტანებიან.

მხოლოდ გონება დახშულ ადამიანს შეუძლიან ესეთი სისულელე წარმოსთქვას, რომ აბხაზს ქართული წირვა-ლოცვა არ ეყურება და სლავიანურს უფრო გაიგებსო. თავხედი და უმეცარი უნდა იყოს კაცი, რომ უარჰყოს საქართველოს ისტორია და ქართველ-აბხაზთა სულიერი და ეროვნული ერთობა წარსულში. სრულიად ბრმა და ყრუ, ხსოვნისა და წარმოდგენას მოკლებული უნდა იყოს ის კაცი, რომელიც არ გაიხსენებს, რა დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველ სამღვდელოებას კავკასიონის მთების კიდეებზედ დასახლებულ თემთა მოქცევა მოქრისტიანებაში. სად იყვნენ ოპერეტის არტისტი პალმი და მისს თანამოზიარენი, როდესაც ქართველი მღვდლები, მონასტრებში აღზრდილნი, ჩრდილო ოსეთში მოღვაწეობდნენ იმ დროს, როდესაც ეს ხალხი ველურად სცხოვრობდა და არავის იკარებდა. რამდენმა ქართველმა მღვდელმა იმსხვერპლა თავი, ვიდრე ამ ხალხს პირჯვარს დააწერინებდა. ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება ვისა გზავნიდა მთიულებთან, თუ არ ქართველ მღვდლებსა? რომელი რუსი მღვდელი მოღვაწეობდა მყინვარის გარშემო, როდესაც ქართველი მღვდლები ოჯახობით იქ იყინებოდნენ და ყოველ გაჭირვებას ითმენდნენ?..

თეატრი და ხელოვნება

ავლაბრის სახალხო თეატრი.

კვირას, 10 აგვისტოს, ავლაბრის სცენის მოყვარულთა დასმა გაჰმართა მეოცდაათე წარმოდგენა. ითამაშეს პოლ ერვიეს 3 მოქმედებიანი დრამა „ბრჭყალები" და ქ. ჩერქეზიშვილის 1 მოქმ. კომედია „სამოცის წლის არშიყი".

ირინეს როლს ასრულებდა ქ-ნი აბხაზიშვილისა, რომელმაც დაკვირვებით ჩაატარა ირინეს ყოველი სულიერი ტანჯვა. საზოგადოდ ქ-ნი აბხაზიშვილისა დრამებში კარგია ხოლმე და უფრო ეხერხება კიდეც. ამ მსახიობ ქალს ვურჩევთ დაივიწყოს სცენაზედ სიარულის დროს თავის წინ-და-უკან გადაგდება, დიდრონის ნაბიჯებით უდაზოთ სიარული და წამ და უწუმ ხელებზედ ბეჭდების სინჯვა სცენაზედ ლაპარაკის დროს, რაც დიდ ნაკლულოვანებად ჩაეთვლება,

ფერგანის როლს თამაშობდა ბ-ნი მეტრეველი, რომელმაც ფერგანის ახრდილიც ვერ დაგვანახვა. უსულ-გულო ბრტყელ-ბრტყელ სიტყვების გაჭიანურებული წარმოთქმა, სასოებით ხელების მაღლა აღპყრობა და უადგილოდ ხმა-მაღალი ყვირილი, ყოველივე ეს სასაცილოდ ჰხდის მსახიობს. არ ვურჩევთ ბ-ნ მეტრეველს დრამებში ისეთის როლის თამაშს, როგორიც არის მაგ. ფერგანი და სხვა.

ბ-ნ პაპაშვილმა უნაკლულოდ შეასრულა ჭლექში ჩავარდნილის შეყვარებულის როლი. ყოველი მისი სულის კვეთება და ტანჯვა-მწუხარება შეაფერად დაგვანახვა. ამ მსახიობს მშვენიერი სასცენო ხმა აქვს და კარგი იქნებოდა, რომ ფერგანის როლი ამას ასრულებინა.

არა უშავდათ-რა ქ-ნ ქართველიშვილისას (მარიამი) და ბ-ნ სალაყაიას (ვალენტინი).

ვოდევილმა მხიარულად ჩაიარა. კარგი იყო ქ-ნი ქართველიშვილისა თმის, თათრის, სტომეხ მაჭანკლის და ზაალის ცოლის დარიკოს როლებში, უფრო ამ ზემოდ მოხსენებულ როლებში კიდევ მშვენივრად უქცევდა.

ქ. აბხაზიშვილი ზაალის ქალის (მაშო) როლში საშინლად კოჭლობდა. ამ ქალს არ ეხერხება ახალ-გაზრდა ცქრიალა ქალების როლის ასრულება. ბ-ნმა ვ. იგრის-პირელმა გლეხის როლში საზოგადოება ბევრი აცინა თავის მოხდენილ თამაშობით.

კარგი იყო ბ-ნი მოსეშვილი თავად ზაალის როლში, რომ არ გადაეჭარბებინა.

ბ-ნი სალაყაია შეუდარებელი იყო ღოთ-გადამწერლის ეჭვთიმეს როლში.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა დეკური.

წარმოდგენამ საზოგადოდ მწყობრად ჩაიარა. ხალხი ბლომად დაესწრო.

კამათელი.

—

სოფ. ხაშმი (ტფ. მაზრა). 10 მარიამობისათვის აქაურმა სცენის მოყვარულებმა გამართეს წარმოდგენა სასოფლო თეატრში. წარმოდგენილ იქმნა „ქართველი დედა" ა. ცაგარლისა და მესამე მოქმედება აზიანის კომედიისა „ფული და ხარისხი". პირველმა პიესამ უფერულად ჩაიარა. მას ამშვენებდნენ მხოლოდ ქ-ნნი მ. ნახუცრიშვილისა, რომელმაც მშვენიერად შეასრულა დეიდას როლი, და ლადიძისა მარინეს როლში. ბ-ნმა გოგნიაშვილმა საუცხოვოდ დაგვიხატა მთელი ტრაგიზმი ვახტანგის მდგომარეობისა; დანარჩენნი, გარდა ერთი ორისა, სუსტები იყვნენ. უფრო ცოცხლად ჩაიარა კომედიამ. საუცხოვო იყო ბ-ნი ლუკა ნახუცრიშვილი არტემას როლში; კარგები იყვნენ აგრეთვე ბ-ნი გოგნიაშვილი (კოწია) და დანი ნახუცრიშვილები; დანარჩენებსაც არა უშავდათ რა. საზოგადო ნაკლულოვანებად უნდა ჩაითვალოს უწესრიგობა თეატრის დარბაზში. ეს გარამოება ხელს უშლის თეატრს, მიიზიდოს ხალხი და ამით მიაღწიოს თავის დიდ აზრს. როლების უცოდინობაც ეტყობოდათ. წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო, როგორც ადგილობრივნი, აგრეთვე სხვა სოფლებიდგანაც მოსულნი. უმეტესობა გლეხ-კაცობა იყო.

წერილი

რედაქციის მიმართ.

„ივერიის" 169 №-ში მოთავსებულ „თეატრსა და ხელოვნებაში" (გორიდან მოწერილ წერილში) შეცდომითაა მოხსენებული „ავლაბრის სცენის მოყვარულნი". ამ დღეს ჩვენს სცენის მოყვარულთ გორი არც კი მოლანდებიათ და ქ. დავითაშვილისა, ბბ. მატარაძე, ბაქრაძე ხომ არც „ავლაბრის დასში" ირიცხებიან..

---

*) ეს მართალი არ უნდა იყოს. ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის რუსულის სახელმძღვანელო Русское слово ოთხჯერ არის მოწონებული სამოსწავლო მთავრობის მიერ, მოწონებულია აგრეთვე უწმინდესის სინოდისაგან; ამ ჟამად უკვე დაიბეჭდა მეათე გამოცემა ამ წიგნისა სწორედ იმ სახით, როგორც მოწონებულია ორთავე უწყებისაგან. რომელი დაბალი ინსტანცია მისცემს თავის თავს ნებას აკრძალოს წიგნი, რომელიც მოწონებულია მაღალ ინსტანციების მიერ!

რედაქცია.

რი მეპაროს და, ჩემიაო თქუას! აპა კაი ბიჭი იქნება და აგი ჩემი კორესპონდენცია მომპაროს ვინცხამ! მოგიკტეს ტერები, მე იმას ჩემი მაჭახელით დღე მუაკლო!

ჩვენ საგანს გადავხტით, ბ-ნო ლედახტორო!.. ჰო, მე აწი ყოველკვირა მოგწერთ გურიიდგან კორესპონდენციას და, შენი ჭირიმე დამიბეჭდე!.. ჩემი სახელი და გვარი, თუ გიყვარდეთ (ამას ჩუმა მელაპარიკები აგერ ყურში, ლედახტორო შენი ჭირიმე, ჩემი სეხნიე! არავის უთხრა) დიდი ასოებით დამიბეჭდეთ.

აქანაი მე გავხსენი ადელენიე „შურდულის" რედაქციისა და კანტორისა, სადაც მოგიგროვებთ: აბელანიებს, თანამშრომლებს, კორესპონდენტებს და ხელისმომწერლებს.

P. S. ჩემ კესარიას რო წოუკითხე აგი სტატიე, კეციაზედ ჰადს აკრავდა, მარა ისე მიეწონა, რომ დაალო ხარხა და ქე მიყურა ბარე ერთ საათს; ამასობაში კეციე ქარ გაციებოდა! ხელახლა გავახურებიე კეცი კიდო და დავაკრობიე ჰადი. რომ გაათავა, კესარიე მომიბრუნდა და მითხრა სტორეთ კაკალი ამ სიტყვებით:

„ბოშო, გოგია, შენ გამეიგონე აწი აგი? ბეჩა და, ისე ლმა-ლმაი სიტყვებიაშით, რომ ნახევარი ვერ გევიგე... სულ არ გამომააბდლა ქალი?!. წაგიმართოს ლომის-კარელმა ხელი და არ ვღირსვარ შენ ქმარობასო"!.

მამა ჩემი პახუმე არ წამიწყდეს, ამ სიტყვებში ერთ კეკალს არ ვტყუი!

დავშთები და სხვ. თქვენი
გოგია პახუმოვიჩ კვარაჩინაძე.

—

სარიყამიშელთა მუხამბაზი.

„ნოვი მოდნა" გამოვიდა,
ძველი კაბა აღარ ვარგა;
შლიაპაც სხვა ნაირია,
მოგვადგება თავზე კარგა...

—

— უჰ, რა მიყვარს ჩემი ქმარი!.
ვენაცვალე მის შავ თვალებს!
ჩემი გულისთვის, „ნინუცკან",
ღმერთმანი, აილებს ვალებს...

—

ძაან მოსწონს, როცა კლუბში
კავალერთან დავსრიალებ;
და ვალს-მაზურკისა ხმაზე
კაბის კუდსა ვაფრიალებ...

—

შემხე, გონჯი ვარ, გენაცვა!..
სად ეკალი, სად ნარგიზი!..
რა არის, რომ იგვიანებს
მიური და მერილიზი?!.

დ. ელპიტისშვილი

—

გასართობი

(სხირტლაძის ბაღში)

— ბატონო ვასილ! ბ-ნო ვასილ! ფულის მოცემა დაგავიწყდათ.

— ახ, და! (ჯიბეს იჩხრეკავს). ჰო მართლა, ჩემზედ დასწერეთ.

— ბატონო, წერა არ ვიცი.

— ისწავლე.

— რაღა დროს ჩემი სწავლაა?

— მაშ, დაიხსომე.

— ბატონო, ცუდი მეხსიერება მაქვს.

— მაშ, დაივიწყე.

— არ შემიძლიან.

— მაშ, ქინძი სჭამე და დაგავიწყდება.

ოჯახ-კეტიანი

—

თ-დი მირსკი (კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე) კავკასიაში მოგზაურობდა. კახეთში მას მიეგება ბოქაული თავადი ჯ. (ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი — დიდი მოქეიფე), რომელიც რაღაც სამის წლის განმავლობაში სრულიად გაჭაღარებულიყო. თ-დმა მირსკიმ ვეღარ იცნო ჯ. და იკითხა, ვინაო; როდესაც გაიგო ვინაობა, გაკვირვებით ჰკითხა, — რა ამბავია, ასე უდროვოდ რამ მოგახუცათ?

— სახელმწიფოსათვის ზრუნვა-მოღვაწეობამ!, თქვენო ბრწყინვალებავ.

თ-დ მირსკის სიცილი-კი წასკდა, მაგრამ აღა-რა უთხრა რა.

—

ერთი ქიზიყელი ტფილისს მოდიოდა; ნავთლუღს რომ მიახლოვდა, დუქნის წინ თავ მოყრილი ხალხი დაინახა და გამარჯვება უთხრა. შეატყვეს ქიზიყელიაო, და ერთმა ოხუნჯობით ჰკითხა: — ძმობილო, სადაური ხარ?

— ქიზიყელი.

— თქვენში ვირი ბევრია?

— შენისთანა ბლომად გახლავსო — მიუგო ქიზიყელმა.

—

„ივერიის" ერთმა თანამშრომელმა წუმწუმის კალოფი აიღო და უკანასკნელი წკირა გაჰკრა, მაგრამ არ აინთო.

— დახე უბედურებას, ერთი წუმწუმა-ღა იყო და ისიც უთაო გამოდგაო.

„შურდული"-ს თანამშრომელმა ამოიღო სავსე კოლოფი და გულუხვად მიაწოდა.

— კარგი, ძმაო, კმარაო, — სთქვა პირველმა, — მაგდენი „პაპიროზი" რომ მქონდეს, ხომ „ივერია"-შიც აღარ ვითანამშრომლებდიო.

დეპეშა

ახალ-სენაკი: გალკინის სისტემის ფანრები დასდგეს, მაგრამ ეს ერთი თვეა, ბოძებს შევჩერებივართ და ფანრები-კი ვერ ვიხილეთ. — ჯიბგირთა „კომპანიას" დღითი-დღე ემატება სულ ახალ-ახალი წევრები. მათი „უსტაბაში" ფოთ-სამტრედიამდე „რევიზორობს" მგზავრთა ჯიბეებში. ამ დღეებში ხსენებულ სადგურთა შუა 450 მან. „ნედოიმკა" გადაახდევინა ერთს ვაჭარსა...

ძველი-სენაკი: 6 ამ თვეს მდ. „ნახური" კალაპოტს ასცდა, შევარდა დუქან-კარვებში და, რაც საიარმუკოთ მოტანილი დამპალი ჩითეულობა იყო, სულ მოლეკა. ცუდ გუნებაზე დადგნენ მოშა-შაბათო და სხ. სულ წვერ-ულვაშს იგლეჯდნენ.

—

ქუთაისი. აქაურმა მანდილოსნებმა საჩივარი შეიტანეს, სადაც ჯერ იყო: ისე ქუჩაზე ვერ გაგვივლია, რომ აივნებიდგან მტვერი და ყოველგვარი სიბინძური არ გადმოგვაყარონ, ან არ გადმოგვასხან. ვარდ-ყვავილებით მორთულ „შლიაპებზე"-ო. მართალია, ვარდებს პატივი უხდება, მაგრამ ჩვენს „შლიაპებზე" ხელოვნური ვარდებია გაშენებული და პატივი არ ესაჭიროებაო.

იქიდგანვე. ბ. მ. ლოლიძეს მაზუთი შემოაკლდა და ელექტრონის ფანრები აღარ უნათებს. ამის გამო ორფეხა პეპლები აღარ ეტანებიან მის ხელოვნურ წყლებს. — ქალაქის გამგეობამ საჭიროდ სცნო გააუქმოს ბულვარში ორი ელექტრიონის ფანარი (მეტი არც გახლდათ), რადგან ძლიერა ვნებს თვალებსაო; ამასთანავე შეყვარებულთ „რანდევუს" და ქურდ-ბაცაცათა ფარფაშსაც ხელს უშლისო.

იქიდგანვე. აქაურმა ხრიკაძემ საჯაროთ განაცხადა, — მომილოცეთ, ჩემი „სუტენტი" შვილი ყველაფერში მე მგავს, ბანქოს თამაშში-კი კიდევაც მჯობნისაო.

აბასთუმანი. აქ ახალ ყაიდის „მასაქისტები" გაჩნდნენ. 6 ამ თვეს ერთ თავიანთ ამხანაგს „მასაჟს" უკეთებდნენ (მუშტით). ერთი არა-მკითხე მოაგარაკე მიეშველა გასაშველებლად, მაგრამ ჩინებულად დაუზილეს გვერდები. მეორე მეტიჩარამ იარაღს მიჰმართა, მაგრამ... თავისი თავი დაიჭრა. სიმარჯვეც ასეთი უნდა.

ქართველებმა პიკნიკი გაჰმართეს, მაგრამ ბევრი არავინ დასწრებია. ცუდი ნიშანია, რომ აქაურ ქართველებს დროს გატარების ხალისიც-კი დაჰკარგვიათ.

სალაყბო („პურ-ღვინოს უბანი) სალაყბოს დეპარტამენტში ყოველ დღე დიდძალი ხალხი იკრიბება. სხდომა ჯერ არ გახსნილა, და, იმედია, არც გაიხსნება. სალაყბოს წევრნი იმ ანდაზით ხელმძღვანელობენ, რომ ტყუილად სხდომას, ტყუილად სიარული სჯობიაო. ოღონდა კ.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო „შურდულის" რედაქტორო!

მიკვირს ღმერთმანი! რა დაგიშავეს ყვირილელებმა, რომ ასე ნიშანში ამოიღეთ და შეუბრალებლად სტყორცნით შურდულს ღირსსა და უღირსსა, როგორც, მაგ., მიხა გაჩეჩილაძეს და ვანო არდიშვილს; ნუ თუ ხიდზე სეირნობა და ჩვენი გართობა აგრე სასაცილოა? თუ მაინც და მაინც გეხალისებათ, მიხა გაჩეჩილაძეზე რამდენიც გინდათ სწერეთ, მაგრამ არდიშვილის შეურაცხობა მე, და საზოგადოდ ყველა ქალებს, ძლიან გვეწყინა.

ყვირილელ ქალების მონდობილობით
ანიჩკა.

—

„შურდულის" ფოსტა.

ქიტოს. არც მაგრე აშკარად გინება იქნება, თქვე კურთხეულო.

ჭკიჭკიტიას. მეტად გრძელი წერილია. მოკლედ, სხარტად, გეთაყვა.

—

განცხადებანი.

ახალი სავაჭრო ამხანაგობა
„ქარხანიდა"

საოცარის სისწრაფით ავიწყებინებს სამშობლო ენას და უცხო ენებს ასწავლის — სპარსულს, ჩინურს, იაპონურსა და სხვ. ფასი მანქანისა ექვსი შაურია. ადრესი — ტფილისი, უპატრონოთა ქუჩა. ადვილი საპოვნელია.

—

ვეძებთ ექიმს, რომელსაც შეეძლება განკურნოს ზესტაფონის (ყვირილის) სამოქალაქო სასწავლებლის შენობის ამგები კომიტეტი სადათას ძილისაგან; ექიმს გასამრჯელოდ მიეცემა ის ხუთასი მანეთი, რომელსაც კომიტეტის წევრნი ბ-ნ გედევან ჩუბინიძის მიერ ყინულზედ დაწერილ პირობის ძალით მოიჯარადრეს ახდევინებენ.

...წევრი

(1—6.—1)

დროებით რედაქტორი **ზოზია სიკინჭილაძე**
გამომცემელი **ია ერაძე.**

უმორჩილესათა ვთხოვთ ეს ცილის წამება აგვაცილონ.

ავლაბრის სცენის-მოყ. მუდმივი დასის მონდობილობით რ. სალაყაია.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 აგვისტო

პეტერბურგი. აგვისტოს 14-ს პეტრე-პავლეს ტაძარში ბძანდებოდნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცანი მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული.—14 აგვისტოს, უმაღლეს გვამთა თანადასწრებით ჩაუშვეს ნევის ქარხნიდგან ზღვაში მეორე ხარისხის კრეისერი „მარგალიტი“ და ახალ საადმირალოდან—პირველ ხარისხის კრეისერი „ოლეგი“.

ბერლინი. აქაურმა საფრანგეთის დესპანმა გადასცა გარეშე საქმეთა სამინისტროს ლუბეს სახელით 5,000 ფრანკი სილეზიაში წყალ-დიდობისაგან დაზარალებულთათვის.

სტამბოლი. ჩერნოგორიის დესპანი ბაკიჩი წელების ანთებისაგან გარდაიცვალა.

მინსკი. დამტკიცებულ იქმნა წესდება მინსკის მუშა და ხელოსან ებრაელთა საზოგადოებისა, რომელიც პირველია რუსეთში.

სტამბოლი. მარშალი ომერ-რუშდი-ფაშა, მაკედონიაში მომქმედ ჯარის უფროსი, გადაყენებულ იქმნა სამსახურიდგან და სტამბოლს გაიწვიეს. იმის გადაყენება მოასწავებს სამხედრო დასის გამარჯვებას, რომელიც მარშალს გამჭრიახობის სისუსტესა და უმოქმედობას აბრალებდა.

ადრიანოპოლი. მეამბოხეთა ჯუფთებმა დასწვეს პურის ძნები სოფ. კაზაკლიასა და ენიჯეში, ყირხ-ქილისას ოლქში, და დასწყვიტეს ტელეგრაფის მავთულები ბევრს ადგილს. სოფ. დოპკუზუჟუქისა, სიკლავისა, დედიკისა, დევეკოძისა-ყირქილისას მიდამოებში მცხოვრებნი, რომელნიც ალყა შემორტყმულნი იყვნენ მეამბოხეთაგან, გაიქცნენ.

ვენა. რკინის გზის მატარებელი, რომელიც დილით უნდა მისულიყო სტამბოლს, სადგურ ყულეი-ბურღასთან აფეთქებულ იქმნა ნაღმით. მოკლულია ექვსი და დაჭრილი 15 კაცი.

16 აგვისტო.

ტეტუში. 15 აგვისტოს მგზავრთა გემი „კოლუმბი“ დაეჯახა გემს „ასკოლდს“, რომელიც დაზიანდა; საქონელი დასველდა, ხალხი არ დაშავებულა.

პარიჟი. ადის-აბებიდან იუწყებიან, რომ საშინაო ომის შიში არისო, რადგანაც მენელიკი მძიმე ავადმყოფია. მანგამა თავის მომხრეთ აგროვებს.

სტამბოლი. მსწრაფი მატარებელი ჯოჯოხეთის მანქანით უნდა აეფეთქებინათ, რომელსაც საათის მექანიზმი ჰქონია. იპოვეს ჯარის-კაცი, რომელმაც იტალიის კონსულს «გიაური» უწოდა, და დასჯილ იქმნება. დასჯიან აგრეთვე ჯარის-კაცს, რომელმაც რუსეთის ფოსტის მოხელე იტალიელსა სცემა.

სტამბოლი. აქ მოვიდა 880 კაცი, კირკ-კილისედან ლტოლვილი; მათ ხარჯი ეძლევა მთავრობისაგან და მსოფლიო პატრიარქისაგან. აჯანყებულ მხარეს გაიგზავნა კიდევ 5 ბატალიონი და 3 ბატარეა. სამინისტრომ გადასწყვიტა სასტიკი ღონისძიება იხმაროს, თუ საქმე გამწვავდა. ტირნოვოსკენ ტელეგრაფის მავთული დაწყვეტილია.

ბელგრადი. სოფელ კერვანკოსთან მაკედონიაში აჯანყებულებმა ააფეთქეს დინამიტით კოშკი, რომელშიაც 250 ბაშიბუზუკი იყო.

სტამბოლი. ბეირუტში მოკლულ ამერიკის ვიცე-კონსულის გვარი მაგელსენია. სტამბოლის კარზე მყოფი ამერიკელი დესპანი და ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრი გადაჭრით უარ ჰყოფენ,—სრულიად არა ვიცოდით-რა ბეირუტში კონსულის მკვლელობის შესახებაო. ბეირუტს ამერიკის სამხედრო გემების გაგზავნას გამაფრთხილებელ ღონისძიებად სთვლიან. სანამ მკვლელობის მიზეზები არ იქნება გამორკვეული, უკიდურეს ღონისძიებას არ მიჰმართავენ.

ოჰჰისტერბაი. პრეზიდენტ რუზველტმა ბრძანება მისცა ევროპაში მდგომ შეერთებულ შტატების ესკადრას,—დაუყოვნებლივ გასწით ბეირუთისაკენაო.

პეტერბურგის ბირჟა აგვისტო 12

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,65	
ბერლინში 100 მარკაში	45,92½	
პარიჟში 100 ფრანკში	37,27½	
ლონდონში ჩეკები	94,35	
ბერლინში „	46,30	
პარიჟში „	—	
ბირჟის დისკონტი.	5—6½%	
4% სახელმწიფო რენტა	99½	გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	100½	გაყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95⅛	მყიდ.
% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	445	გაყ.
5% მეორე შინაგ სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	338¾	წვ. გაყიდ
5% გირავნ. მომგ ფურც. სახლმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	290¾	გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	94¾	
54½% ობლიგაც იმავე ასზოგადოებისა.	—	
4% ტფილ. საადგ. მამ· ბანკის ვირავნ. ფურცლ.	92½	გაყ.
/ ½% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	—	
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	91½	წვ.-გაყ.
პაიები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9226	
ქციები. „ „ „ »	—	
„კასპიის ამხანაგობისა. „ ბაქოს ნავთის საზოგად.	380½	წვ. გაყ·
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	188½	წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო საშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ. 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74_{75} ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუაღდის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № $7/_{3}$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 9 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ., ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს. 42 წ. 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 ს. 21 წ., ჩამოდის ტფილისს დილის 11 ს. 8 წ., 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ. ჩამოდის ტფილისს საღამოს 11 ს. 1 წ.

გ. ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 51 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ., ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 23 წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 1 ს. ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; და დღის 2 ს, 23 წ.

ბათუმისაკენ; ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 2 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ვისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება. შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

ნიხრი ეტლებით მიმოსვლისა

ქ. ტფილისში.

საათობით	60 კ.
ერთგზობით	30 „
ქალაქიდგან ავლაბარში	40 „
ნავთლუღში	50 „
ავლაბრიდგან ნავთლუღს.	30 „
ნათლულიდგან ქალაქს	40 „
ალაქიდან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე	50 „
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	80 „
ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთეიდის ბაღში და დიდუბეს	40
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	1 მ.
ქალაქიდგან ორთაჭალას, საპყრობილემდე	80 კ.
კრწანისის ბაღამდე	80 „
ნათლულიდან რკინის გზის სადგურსა და მუშთეიდის ბაღამდე	80 „
რკინის გზის სადგურიდან ქალაქსა და ავლაბარს	60 „
იქიდამ ნათლულამდე	1—20

უკეთუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

მართლმადიდებელთა სასაფლაომდე 50 კ.

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1-ელ საათამდე; შემდეგ-კი 1 ოკდომბრიდგან 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოკდომბრამდე 30 კ.

განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის ფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის, შავი ქვის მრეწველთა საბჭო ამით აცხადებს, რომ რადგან არ შესდგა 8 აგვისტოს ამა 1903 წელს დანიშნული ვაჭრობა იჯარით გასაცემად ჩიკაურ-შუკრუტ-ჭალების გზის შეკეთებისა, ჭიათურის შავი-ქვის სამრეწველოზე, სიგრძით 1 ვერსტი და 30 საჟენი, სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვით 6000 მანათისა,—კვალად დანიშნულია იგივე ვაჭრობა 21 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე, საბჭოს სადგომში ქ. ქუთაისში.

ვისაც ვაჭრობა ჰსურს, საბჭოს კასსაში უნდა შეიტანოს 300 მანათი ნაღდ ფულად ანუ მთავრობის მიერ უზრუნველყოფილი სარგებლიანი ქაღალდებით.

ვაჭრობა საბჭომ უნდა დაამტკიცოს.

(1—6—1)

ლაბორატორია

რის გუტმანისა

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის კარის ვაჭარი.


ВѢРНАЯ СМЕРТЬ.

ინდოური მიშუნაი

(ქიმიკოსის რის გუტმანისა)

ნამდვილი გაწყვეტა ვირთაგვებისა, თაგვებისა, თხუნელებისა და სხვათა მათ გვართა. ეს საშუალება განდევნის სახლებიდგან და სადგურებიდგან განსაკუთრებით ზემოხსენებულ პირუტყვებს, იმრიგად, რომ იატაკის ქვეშ არა რჩებიან და ცუდს სუნს არ ავრცელებენ იქიდგან. ფასი 60 კ.—1 მ. 50 კ.

ინდოური ფხვნილი მწერთა მოსაგერებლად უველაზედ ნამდვილი საშუალება საბოლოოდ გასაწყვეტად ყოველგვარ მწერის და მათის თესლისა. ეს ფხვნილი შეუდარებელია რწყილის და ბაღლინჯოს გასაწყვეტად კრაოტებში, ლეიბებში, გალესილ კედლებში და აგრეთვე ფიცრის კედლებში, რომელსაც გაკრული აქვს ნაბდები და ნაძენძი. ჩრჩილსა სწყვეტავს ნავთალინისავით და ამასთან მასავით მძიმე სუნი არა აქვს. ამიტომ საჭირო არ არის ქურქისა და სხვა ტყავიან სცმელების შესანახავად მიცემა ზაფხულში. ეს ფხვნილი თავის მოქმედებას ყოველგვარი ჭიაღუის წინააღმდეგ თითქმის წუთის განმავლობაში იჩენს. ფასი 35 კაპ., 65 კაპ. 1 მ. 20 კ.

სითხე ბაღლინჯოს წინააღმდეგ (ქიმიკოსის რის გუტმანისა). სამუდამოთ სწყვეტავს. სასიამოვნო სუნისა არის და ამასთან არ ალაქავებს საცვლებს, შპალერს და ავეჯს. შეფრქვეული ოთახის ჭერს სასიამოვნოდ აგრილებს და ამასთან ერთად განდევნის ჩრჩილს, ბუზებს და კოღოს. ფასი 60 კაპ.—1 მან.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის გუტმანისა) განჰკურნავს ბებერას, მეჭეჭს და სხვა ამ გვარს, მოკლე დროს განმავლობაში. ძირიან-ფესვიანად სპობს და ამასთან არავითარ ტკივილს არ აგრძნობინებს ადამიანს. ფასი თითო კოლოფისა 60 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისში, სააფთიაქ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველს სააფთიაქო მაღაზიაში. (40—6.—33)

„GRAND PRIX“

PARIS 1900.

Т—во Высшей

парфюмеріи

А. Ралле и К°

„Рефль“

მსწრაფლ მბეჭდავი

სტამბა

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხების სასულიერო სემენარიის სახლებში;

იღებს ყოველ-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასათვის ხელმისაწდომია.

საბუღალტერო კლასები

ი. ი. ბრონ-ფონ-ბრენერისა

მიხეილის პროსპექტი № 161.

სწავლა დაიწყება 10 სექტემბერს და ნახევარს წელიწადს გასტანს. მასწავლებელთა კრებული საუკეთესო სპეციალისტებისაგან შესდგება. კლასებთან სავაჭრო მუზეუმი, ბიბლიოთეკა და ბიურო არის. პროგრამა ს.-პეტერბურგის კურსებისა. საგანგებო ლექციები იქნება სავაჭრო საქონლის მეტყველებისა, კომერციულ ეკონომიისა, საგანგებო ანგარიშებისა: ბანკისა, რკინის გზისა, სახელმწიფო ხაზინისა, სახაზინო სასმელთა ვაჭრობისა, ფაბრიკისა და სხვ. თხოვნები მიიღება 10 სექტემბრამდე კლასების კანცელარიაში, მიხეილის პროსპექტზე, № 161, დილის 9 საათიდან 1-მდე და საღამოს 5 საათიდან 8-მდე.

დამაარსებელი კლასებისა ი. ბრონ-ფონ-ბრენერი. (15—5)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1903—1904 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი; 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუღალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და მშვიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სეკდემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექდემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში:

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოთ გასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსებზე სწავლა ყოველ დღე,

Дозволено цензурою, Тифлисъ, 16 августа 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით-რედაქტორი ზ. ჟიჟიძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.